



# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 50 თეთრი



## ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დეგნანის ვიზიტი ყვარელში

ყვარლის ევროკლუბის ხელმძღვანელის და ამერიკული სივრცის კოორდინატორის, ნიკა გურიის ინიციატივითა და ორგანიზებით 13 მაისს, ყვარელს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი ეწვია. მისი ვიზიტის მთავარი მიზნები იყო, ყვარლის ევროკლუბში ამერიკული თაროს გახსნა. ამერიკული თაროს არის 15 ამერიკული სივრცის ქსელის ნაწილი საქართველოში, რომელიც მხარდაჭერილია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ. ამერიკული სივრცე მკითხველებს აწვდის ინფორმაციას, სთავაზობს მრავალფეროვან რესურსებსა და აქტივობებს, რაც ეხმარება ადგილობრივ თემს ამერიკის კულტურისა და პოლიტიკის შესწავლაში, ასევე ინგლისური ენის სწავლაში. ევროკლუბი ახლა უკვე აერთიანებს ევროკავშირის პროექტს „ევროკლუბსა“ და ამერიკის საელჩოს პროექტს „ამერიკული სივრცე“. ევროკლუბი გახლავთ ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც ყვარელში 2019 წლის ნოემბერში დაფუძნდა ევროკავშირის მხარდაჭერით და ამ ხნის განმავლობაში მრავალი საინტერესო ღონისძიება და პროექტი განახორციელა. ევროკლუბის მთავარი მისია არის განათლებისა და განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდებში და მათთვის არაფორმალური განათლების მინოდების უზრუნველყოფა, სამოქალაქო ცნობიერების გაზრდა და ევროპული ღირებულებების დამკვიდრება. ევროკლუბში თავს უყრიან მოქალაქეებს ყვარლიდან, სთავაზობენ მათ ღია სივრცეს დისკუსიებისთვის და თემურ-მატრიული ვორკშოპებისა თუ სემინარებისთვის ისეთ საკითხებზე, როგორცაა საერთაშორისო ურთიერთობები, ადამიანის უფლებები, დემოკრატია, მედიაინფორმაცია, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიასა და ღირებულებებზე და ა.შ.

ევროკლუბს აქვს მრავალფეროვანი, რამდენიმეენოვანი ბიბლიოთეკა.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ყვარელში, ყვარლის ევროკლუბის ხელმძღვანელი და ამერიკული თაროს კოორდინატორი ნიკა გურიანი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერთან, როსტომ სესიაშვილთან და კახეთის მხარის გუბერნატორ, ირაკლი შიოშვილთან ერთად მასპინძლობდა.

ყვარელში ელჩის პირველი გაჩერება „კორპორაცია ქინძმარაული“ იყო, სადაც ღვინის წარმოების ტექნოლოგიის გაეცნო და კომპანიის ხელმძღვანელებს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ შეხვედრებზე ესაუბრა. ამის შემდეგ ელჩი ყვარლის 1-ლ საჯარო სკოლას ესტუმრა, სადაც მედიის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული მედიაინფორმაციის ფორუმში მიიღო მონაწილეობა. სკოლის დათვალიერების შემდეგ კი ელჩის გაჩერების საზეიმო ცერემონია გაიმართა და ამერიკული სივრცის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე ელჩმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა: „მინდა ყველას გთხოვო, მოდით ევროკლუბსა და ამერიკული თაროსში. გახდით აქტიური ლიდერები თქვენს თემში, ჩაერთეთ ჩვენს პროექტებში. დემოკრატია მუშაობს ძალიან კარგად მაშინ, როცა ჩვენ ყველა ვართ ჩართულები“. ელჩს მისასაზღვრელი სიტყვით მიმართა ევროკლუბის ხელმძღვანელმა, ნიკა გურიანმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამერიკის საელჩოს მუდმივი მხარდაჭერისთვის: „როცა სიტყვა თავისუფლებას ვახსენებთ, ბავშვობიდან, მე პირველი ამერიკის შეერთებული შტატები მახსენდება. ქვეყანა, რომელიც მზარს უჭერს მსოფლიოში თავისუფლებისა და დემოკრატიის გავრცელებას. თავისუფალი ქვეყანა, რომელიც ერთგულია ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპისა. მართლაც, არცერთ სხვა ქვეყანაში მისცემია ამდენ ადამიანს თავისუფლად და უზრუნველყოფილად ცხოვრების საშუალება.“

გაგრძელება მე-2 გვ.-ზე



## პროგრამა „განახლებული რეგიონები“-ს ფარგლებში, კომისიის სლოვაკეთის რეგიონში გაიმართა

პრემიერ მინისტრის ინიციატივით დაწყებული, ახალი სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მუშაობა აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში დაიწყო.

კომისიის სხდომა, 11 მაისს ქალაქ თელავში, კახეთის რეგიონისთვის გაიმართა. სხდომას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ლერი ბარნაბიშვილი, კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, ირაკლი შიოშვილი, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეები და რეგიონის 8 მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

თითოეული მუნიციპალიტეტის მერმა, პრეზენტაციის სახით, კომისიის



სხდომაზე საპროექტო წინადადებები წარადგინა.

კომისიამ შეარჩია ის არეალები, რომელთა ურბანული განახლების პროექტების/ესკიზების წარმოდგენა გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებს დაევალებათ.

4-ლიანი პროგრამა, რომელიც საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს და მისი მხოლოდ პირველი ეტაპის საორიენტაციო ღირებულება 500 მილიონი ლარია, ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტისა და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პროექტები განხორციელდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით.



## 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე არის საქართველოს ეროვნული დღესასწაული, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის 26 მაისს, ნიშნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა რუსეთის იმპერიისგან და სსრკ-ისგან.

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ისგან დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა, ეროვნული დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო პირველი რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიაზე. იგი შეიქმნა 1918 წლის 26 მაისს რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას ესაზღვრებოდა რუსეთი და

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

## ჩვენ ქმა ხალხს, ქართველებს ვუსურვებ ვივილობას, ერთობას, ქვეყნის გამთლიანებას...

1951 წლის ხუთ ივნისს ყვარელში დაბადებულსა და დავაჟაცებულს, კიევის მაცხოვრებელს პოლკოვნიკ ალექსანდრე მიხეილის ძე მოროზოვს საქართველოს და ყვარლის დიდ პატრიოტს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, უკრაინის მეცნიერებათა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, უკრაინის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსს უსრულდება 70 წელი.

დაიბადა ყვარელში 1951 წლის 5 ივნისს. მამამისი მიხეილი და დედა ალექსანდრა გავაზში და ყვარელში მრავალი წლების განმავლობაში პედაგოგებად მუშაობდნენ და ორივენი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები იყვნენ. საუკუნეების განმავლობაში მოროზოვების დიდი ოჯახი უკრაინაში ცხოვრობდა.

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე





# ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დებნანის ვიზიტი ყვარელში

დასაწყისი 1-ელ გვ-ზე

მსოფლიოში, ლიბერალური ღირებულებების გავრცელებამ სილატაკისა და ტორანიისთვის თავის დაღწევის საშუალება ადამიანთა უპრეცედენტო რაოდენობას მისცა. ლიბერალური დემოკრატიის ყველაზე დიდი მხარდამჭერი, მაგალითი და დამცველი ამერიკის შეერთებული შტატებია. მას არ უძინია. სხვის მინასა და სიმდიდრეზე თვალი არ უჭირავს, კედლის უკან არ იმალება, სხვის კულტურასა და რელიგიას, სხვის იდენტობას არ მტრობს. პირიქით, იცავს. ამის უამრავი მაგალითი საქართველოში, ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტების მონაწილე ვარ. ადრეულ ასაკში, ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში ამ პროექტებს უდიდესი პოზიტიური წვლილი მიუძღვის. მტკიცედ მჯერა, რომ ახალგაზრდები, რომლებიც დღეს ამერიკულ თაროში სხვადასხვა საინტერესო პროგრამებით სარგებლობენ, ასევე გაიხსენებენ წლების შემდეგ ამ პროექტს, როგორც პოზიტიური ცვლილებების გამომწველს მათ განვითარებაში.

კელი დებნანის შემდეგი გაჩერება ყვარელში ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი იყო, რომელსაც ამერიკის საელჩომ სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია. მათ შორის ეზოში დაირგო იტალიური ჯიშის ხეივანი ვარდები, რომელსაც ამერიკა-საქართველოს მეგობრობის


ხეივანი ეწოდა. ელჩმა გაიხსენა 130 წელზე მეტი ხნის წინ ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი ფრაზა: „თუ ღმერთმა ჰქმნა და კაცობრიობის სასახლეოდ ამერიკამ ამ მხრით თავისი სანადგომი აისრულა, ეს დიდი მაგალითი იქმნება ევროპისათვისაც“. ილიას მუზეუმის ეზოში შეკრებილ ახალგაზრდებს, ელჩმა უთხრა, რომ დღეს უკვე საქართველოს დემოკრატიული მომავლის სურვილი შთააგონებს მსოფლიოს. მუზეუმის დათვალიერებისა და მეგობრობის ხეივანის გახსნის შემდეგ, ელჩი მუზეუმის ეზოში გამართულ ღონისძიებას დაესწრო, საკუთარი ხელით ამოავლო ჩურჩხლედი და ილიას ეზოში მდგარ თინეშო შოთის პური გამოცხობა. საღამოს კი, ადგილობრივ ხელიწვთვლებასთან ერთად ელჩმა ყვარლის ქუჩებში გაიხსენა და სხვადასხვა ადგილები დაათვალიერა.

ყვარლის ევროკლუბი განსაკუთრებულად მაღალია ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის, ყვარლის 1-ლი საჯარო სკოლის, ასევე ყველა მეგობრისა და პარტნიორის, ვინც მხარდაჭერა გამოუცხადა ამ მნიშვნელოვანი ვიზიტის სამზადისს.

ევროკლუბსა და ამერიკულ თაროში ყოველდღიური პროცესი გრძელდება – ნიგნის კლუბები, სამაგიდო თამაშები, ინგლისური ენის სწავლება და სხვადასხვა საინტერესო პროექტები.

ია გიგიაშვილი

# ამირან გამყრალიძე – პოსტ კოვიდური სინდრომი უკვე სერიოზული პრობლემაა და მას მეტი ყურადღება სჭირდება



პოსტ კოვიდური სინდრომი უკვე სერიოზული პრობლემა გახლავთ და მას მეტი ყურადღება სჭირდება, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრალიძემ ვებინარის ფარგლებში განაცხადა.

„მოგესვენებთ, კოვიდი გაზაფხულის ეტაპზე მიიწივდა და კომპლექსური დაავადებად, რომელიც არ ტოვებს ხანგრძლივად გართულებებს, შემდგომ ბევრი კვლევით უკვე დადგინდა და ტერმინი შემოვიდა „პოსტ კოვიდური სინდრომი“. ის უმრავლეს შემთხვევაში არ ვითარდება,

უმეტესად მაინც სრული გამოჯანმრთლება, მაგრამ ეს საკითხი ძალიან დიდი ყურადღების ცენტრშია. ჯერ წინასწარ ვერ ვიტყვი მონაცემებს, ინფექციურ დაავადებათა ცენტრი, თენგიზ ცერცვაძის ხელმძღვანელობით, 500 ადამიანზე სწავლობს პოსტ კოვიდურ სინდრომს. ესენი არიან შემთხვევითი შერჩევით პრინციპით შერჩეული ადამიანები, რომ მონაცემები ვალიდური იყოს. მათი კვლევებისთვის სპეციალური პროტოკოლია შემუშავებული და

ვფიქრობთ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინფექციური საავადმყოფო ამ მონაცემებს გამოაქვეყნებს. ზოგადად, პოსტ კოვიდური სინდრომი გახლავთ უკვე სერიოზული პრობლემა და მას მეტი ყურადღება სჭირდება. ამიტომ, ჩემი, როგორც ექიმის რეკომენდაცია გახლავთ, კოვიდის გადატანის შემდგომ ადამიანი უნდა იყოს მჭიდრო კონტაქტში თავის ოჯახის ექიმთან, სულ მცირე 6 თვის განმავლობაში და პერიოდულად კონსულტაციები ჰქონდეს ოჯახის ექიმთან. თუ საჭიროდ ჩათვლის ოჯახის ექიმი, შესაბამისი გამოკვლევები უნდა ჩატაროს“, – განაცხადა გამყრალიძემ.

# რას გვასწავლის პანდემია? – მიტროპოლიტი ათანასე ლიმასოელი

ჩვენ გვაკეთებთ ყველაფერს, რაც ადამიანურად ჩვენზე და მოკიდებული და მადლობას ვუხდით პასუხისმგებელ პირებს, მეცნიერებს, პოლიტიკოსებს, მთავრობას – მათ, ვინც გვიხსნის, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ რთულ ვითარებაში. არ უფლებდებოდით, რომ რეალობა რთულია და ვრჩებით რა ეკლესიის წევრებად, ჩვენ გვაქვს საკუთარი გზა, რომელიც გვეხმარება ცხოვრების გზაზე არსებული განსაცდლების შეფასებასა და ჩვენ სასარგებლოდ გამოყენებაში. ამრიგად, მოდით, წინდახედულად მივუდგეთ ამ განსაცდელსაც, ყველა ზომების დაცვით – საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სხვ. – მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ღვთის, ღვთისმშობლის, ჩვენი ეკლესიის წმინდანთა წილად. ეკლესია რთულ ვითარებაში ყოველთვის ლოცვისაკენ მოგვინდობს.

## მსოფლო ღვთისა და მშობლის, მშობლის მშობლის მშობლისა!

კრიტიკული სიტუაციის გადალახვა შესაძლებელია. მისი გადალახვა შესაძლებელია ლოცვით. ძალიან ბევრი უნდა ვილოცოთ. გვეჭრებოდა ადამიანები, რომლებსაც თავიანთი ლოცვით შეუძლიათ შემოაბრუნონ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, რადგან მხოლოდ ლოცვას ძალუძს მოვლენების მიმდინარეობის შეცვლა. ყველა სხვა ზომა ადამიანური საქმიანობაა. ესეც კარგია და სასარგებლო, მაგრამ ლოცვას ნამდვილად შეუძლია „ერთ ნაშბი“ (ლუკა 4: 5). ყველაფერი შეცვალავს და განაქარვოს განსაცდელი, რომელსაც, სხვათა შორის აქვს პოზიტიური მხარეც, რადგან ის ბევრ რამეს გვასწავლის.

## რას გვასწავლის პანდემია?

მოდით, მოვიხანოთ ჩვენი ცოდვები, მთელი მსოფლიოს ცოდვები! პანდემია გვასწავლის ჩვენს სისუსტეს. გვასწავლის ადამიანის აპოკატეს. გვასწავლის, რომ ყველაფერი, რასაც გარემო უხედავთ, წარმავალია. უნდა გვესმოდეს, რომ ღვთის სასუფეველი უნდა იყოს ჩვენი მთავარი მისწრაფება. როგორც უფალი ამბობს წმინდა სახარებაში: პირველ რიგში ეძიეთ ღვთის სასუფეველი და ანაგრეში მოგეცემა უფლისა ჩვენის ქრისტეს მიერ. ღვთის სასუფეველი არის ის, რაც ნამდვილად გვეჭირდება. სწორედ ამიტომ, ეკლესია მოგვინდობს ლოცვითი გმირობისაკენ, სინანულითა და თავმდაბლობით აღვლენილი ლოცვებისაკენ.

მამ, მოდით, მოვიხანოთ ჩვენი ცოდვები, მთელი მსოფლიოს ცოდვები! მიგაწვდით უფალს მდებარე და მონაწილე გულბეზიდან ამოთქმული ლოცვის ძალა. უფალიც შეისმენს და შეცვლის ისტორიის დინებას. თუ ელოცულობთ, მაშინ ყველაფერი იცვლება. თუ არ ელოცულობთ, მაშინ ჩვენ მიგყვებით ადამიანის გზას, რომელიც უწინაა, როგორი იქნება და სად მიგვიყვანს.

## ტაქრები ღვთისა. ვისაც სურს, მოვიდას!

ეკლესიები ღვთისა. მათში ღვთისმსახურება არ შეწყდება. ჩვენი მღვდლები და ჩვენ ყველანი იმ მდგომარეობაში ვართ, რომელიც უფალმა დაგვავსა. როგორც ეკლესიის მოძღვრები, ჩვენ ალვაველენ ლოცვებს, მსახურებებს, საღვთო ევქარისტის მთელი მსოფლიოსთვის. ვისაც სურს, მოვიდეს! ყველას,

ვინც გრძნობს უხერხულობას, ძალის ნაკლებობას ან რაიმე სხვა რამეს, იმოქმედოს სიტუაციის საკუთარი გაგების შესაბამისად. ჩვენ არ გვაქვს უფლება, განვსაჯოთ რომელიმე ადამიანი. ჩვენ ელოცულობთ მთელი მსოფლიოსთვის, მთელი „ადამისთვის“, მთელი კაცობრიობისთვის.

ვიღაც იკითხავს: მაგრამ ჩვენ, ისინი, ვინც ეკლესიაში მოვალთ, ავად არ გავხდებით? ავად ჩვენც გავხდებით და ჩვენც გარდავიცვლებით. ვინ გითხრათ, რომ ჩვენ უკვდავები ვართ ამ წუთისთვის. ნუთუ კორონავირუსი იყო საჭირო იმისათვის, რათა გვედონოდა ამის შესახებ, რომ ჩვენ გარდავიცვლებით? ნუთუ კორონავირუსი იყო საჭირო იმისათვის, რათა გვეცოდნოდა, რომ ჩვენ ავად გავხდებით?

გახსოვთ, რა თქვა სებასტიის წმინდა ორმოცმა მონაწილემ? აღვასრულოთ გულმოდგინებით! რადგანაც მაინც უნდა დავიხსოვოთ, უმჯობესია დავიხსოვოთ ისე, რომ პირნათელი ვიყოთ საკუთარ თავთანაც და უფალთანაც.

გვეჩვენოს სიკვდილის ხსოვნა, რომლის შესახებაც ჩვენმა წმინდა თანამებრატებმა ნოვოტიმ თქვა, რომ ღვთისადმი შიში, სიკვდილის ხსოვნამდე აღუყვანილი, ყველაზე დიდი მადლია, რადგან ის გვახსენებს, რომ ჩვენ დაუფლებებთ ამ ამაო საყვაროს და დავდებით უფლის წინაშე.

## ყველანი აღვამოხსენებთ

სიკვდილის არავის უნდა შეუშინდეს: ამ შიშისგან უფალმა თავისი სიკვდილით გამოგვიხსნა.


რას გვაძლევს ეკლესია? უშიშრობას. სიკვდილის შიშზე გამარჯვებას. ჩვენ ყველას, გამონაკლისის გარეშე, გველის ბიოლოგიური სიკვდილი. მაგრამ არა სულიერი: ადამიანს, რომელსაც სწამს ღმერთი, სიკვდილი არ ეშუქრება. „ვინც ჩემში ცოცხლობს და სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე“, – ამბობს უფალი. ანუ ის, ვისაც ღმერთის სწამს, სიკვდილი არასდროს იხილავს. ბიოლოგიურად – კი, სულიერად – არა. სწორედ ეს არის, რაც გვაძლევს – სულიერი სიკვდილი, ჩვენი მარადიული განმარტება ქრისტესგან. ის გვაშინებს. ჩვენ გვსურს, რომ ეს არ დაგვემართოს, რადგან ბიოლოგიური სიკვდილი – დროებითი, ხოლო სულიერი სიკვდილი – სამუდამო განმარტება!

როგორებიც არ უნდა ვიყოთ, წმინდანები თუ ცოდვილი, ყველანი ბიოლოგიურ სიკვდილის ქიქარში შევალთ. როგორებიც არ უნდა ვიყოთ, ყველანი აღვამოხსენებთ მიგვივართ, ქრისტეს აღვამოხსენებთ, რომელმაც სიკვდილი დასთრგუნა, რის შესახებაც ყოველი აღდგომის დამეს გვესმის ხოლმე. სიკვდილის არავის უნდა შეუშინდეს: ამ შიშისგან უფალმა თავისი სიკვდილით გამოგვიხსნა. აღარ არის სიკვდილი, არის მარადიული სიციცხლე, ქრისტე, ღვთის საუკუნო სასუფეველი.

ასეთი რწმენით უნდა გავიაროთ ჩვენთვის გამოგზავნილი განსაცდელი – პანიკის, შიშის, ადამიანური მოსაზრებების გარეშე. მოუხმეთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სიყვარულს დასახმარებლად.

## ღვთის სიყვარული ახარცხავს შიშს

ჩვენი ვიცით, რომ ამ ქვეყნად ჩვენს ცხოვრებას აქვს გარკვეული „ვადა“. მაგრამ ჩვენ ასევე ვიცით, რომ სიკვდილი არის ამქვეყნიური საგნებიდან მარადიულობაში გადასვლა, ღვთის მარადიულ



სასუფეველში. დღევანდელი კრიზისი არის ჩვენი რწმენის, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი აზრების განსჯა, ღმერთთან – მამასთან კავშირის ხარისხის მაჩვენებელი.

ეკლესია კვლავაც ლოცვით და ემსახურება ცოცხალ ღმერთს, ყოველგვარი ადამიანური გათვლებისა და ანგარების გარეშე. იგი იმედოვნებს, რომ ღმერთი ყველაფერზე მაღლა დგას. არა იმისათვის, რომ უფლებდებოდით ადამიანთა მცდელობები, არამედ იმისათვის, რომ დაგვამარტოთ სიკვდილის შიში. მას კი სიყვარული ამარტოებს. სრულყოფილი სიყვარული განაგდებს შიშს. ღვთის მოყვარული არავის ეშინია. მას ამქვეყნად არც ერთი განსაცდელი არ აშინებს. რადგანაც ღვთის სიყვარული ჭარბობს შიშს და ანიჭებს მარადიულ სიციცხლს.

## ქრისტეს ნათლის გარეშე სინანული აუტანელია

ჩვენს საეპისკოპოსოში, საკათედრო ტაძარში, ისევე როგორც სხვა ეკლესიებში, ყოველ ზუთნობათს დიდი მწუხრის წინ ან მის შემდეგ, აღვსრულებთ ზეთის კურთხევა სულისა და სხეულის საკურნებლად. ეკლესია განკურნების საშუალებას გვაძლევს საუკუნო ცხოვრებისთვის. ადამიანის მიერ დამზადებულ, ბიოლოგიურ და ქიმიურ სამკურნალო საშუალებებთან ერთად, ეკლესია გვაძლევს სწავლებას ზეთისცხების საიდუმლოზე, რათა მომადლოს ძალა სულსა და სხეულს, რომ შევიზარჩუნოთ სიმშვიდე, რაც არ უნდა შეგვემთხვეს.

ქრისტეს სიკვდილით სიკვდილი დაითრგუნა – ამბობდნენ ეკლესიის წმინდა მამები. მიგენდით ქრისტეს. მოვუხმეთ ყოველდღიურად ღვთისმშობელს და წმინდა მამებს. და ვიართოთ და სიმშვიდით. ასე რომ, ჩვენ უნდა ვანუგემოთ ჩვენი ძმები. იფიქრეთ იმაზე, თუ რა უიმედობაა, რა შიში, რა დაუცველობა, რა საშინელება ცხოვრობს იმ ადამიანთა გულში, რომლებიც არ არიან გასხივონებული ქრისტეს ნათლით! ეს მართლაც ტრაგედიაა – ცხოვრება ღმერთის გარეშე! ეს მართლაც ტრაგედიაა – ცხოვრება გარეშე! ქრისტეს გარეშე ადამიანი ვერ იცხოვრებს. ქრისტეს ნათლის გარეშე სინანული აუტანელია!

მამასამდე, ყველას, ვისაც ქრისტე გვენამს და მის წმიდა სახელს მოვუხმობთ, უნდა მივანიჭოთ იმედი, სიხარული, სიმშვიდე, სიმამაცე – ჩვენი ძმების გულს, მოუხმეთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სიყვარულს დასახმარებლად. Karibche.Ambebi.ge

# მეცნიერებს სურთ, COVID-19-ით დაავადებული ადამიანების მოძიებაში ფუტკრები დაიხმარონ

კორონავირუსი ორგანიზმში უნამაღურ ქიმიურ რეაქციებს რთავს, რაც იწვევს დაზარალებულ სუნის წარმოქმნას. ადამიანის მისი იდენტიფიცირება არ შეუძლია, მაგრამ ფუტკრებისთვის ეს შესაძლებელია.

InsectSense და Wageningen Bioveterinary Research ლაბორატორიების მეცნიერებმა ფუტკრებს ასწავლეს ინფექციის უნიკალური სუნის დაჭერისას, ენის გამოყოფა. ფუტკრებს, ძაღლების მსგავსად, შეუძლიათ ჰაერში ნივთიერების განსაზღვრა, რისთვისაც რამდენიმეწუთიანი ვარჯიში საჭირო. სპეციალისტებმა შეაჯაროვეს 150-ზე მეტი ფუტკარი, რომელთაც ჰქონდათ ჯანმრთელი და კორონავირუსით დასნებოვებული ნავეების სუნის ნიმუშთან კონტაქტი.

როდესაც მწერი განიცდიდა დასნებოვებული ნიმუშის ზემოქმედებას, მეცნიერები მას აწვდიდნენ შაქრის ხსნარს (თან ახლდა ენის გამოყოფა). დროთა განმავლობაში ფუტკრებმა ტკბილი ჯილდო დაუკავშირეს კორონავირუსის სუნს და დაიწყეს ენის გამოყოფა კორონავირუსის ინფექციის სუნის საპასუხოდ.

რამდენიმე ფუტკარმა აჩვენა შესანიშნავი შედეგი და შეძლო გაერჩია ინფიცირებული ნიმუში ჯანმრთელისაგან. ცნობილია, რომ მეცნიერთა გუნდი ასევე მუშაობს „LumiNose“-ზე, ბიოჩიპზე, რომელიც მწერების გენს იყენებს აქროლვადი ნივთიერებების აღმოჩენისთვის.

mkurnali.ge



# ჩვენ ძმა ხალხს, ქართველებს ვუსურვებ მშვიდობას, ერთობას, ძველის გამთლიანებას...

დასაწყისი 1-ელ გვ-ზე

როდესაც რუსეთის იმპერიამ აიღო კურსი უკრაინელების განადგურებაზე, ოჯახი კრანსოვების ოჯახი გადასახლდა. მაგრამ, აქაც მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწყო რეპრესიები და მიმდინარეობდა, თავის გადასარჩენად ოჯახი კავკასიაში გადავიდა საცხოვრებლად. ბევრი ტანჯვის შემდეგ პაპის-პაპა ივანე ყვარელში დასახლდა. ამის შემდეგ საუკუნის განმავლობაში სამი თაობა ყვარლის რაიონის ინტერესებს ემსახურებოდნენ. ალექსანდრეს მამა, პაპა, ბებო, პაპისპაპა და ოჯახის წევრები ყვარელში არიან დაკრძალულნი.

საშუალო და მუსიკალური განათლება ყვარლის სკოლებში მიიღო, 1976 წელს კი როსტოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა, მუშაობდა ფსიქიატრად.

1981 წლიდან, საკავშირო კონკურსის მოგების შემდეგ ჩაირიცხა უკრაინის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ფსიქოთერაპიის კათედრის ლექტორად (ქალაქი ხარკოვი). აქვე 1983 წელს დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის დისერტაცია.

1988 წლიდან, ასევე კონკურსის გავლის შემდეგ დაიწყო მუშაობა საკავშირო რადიაციული მედიცინის ცენტრში, რომელიც ემსახურებოდა ჩერნობილში რადიაციული გამოსხივებით დაზარებულ ავადმყოფებს (ქალაქი კიევი). 1992 წელს, აქვე მუშაობის დროს დაიცვა დისერტაცია და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა. არის უკრაინის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე. 2019 წელს უკრაინის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა ერთხმად აირჩიეს აკადემიის საპატიო აკადემიკოსად.

1994 წლიდან უკრაინის სამართალ-დაცვით ორგანიზაციაში მსახურობდა. ამჟამად პენსიაზეა, მაგრამ მუშაობს უკრაინის უშიშროების სამსახურის ეროვნული აკადემიის კათედრის პროფესორად.

წლების განმავლობაში აქვს გამოცემული 160 ნაშრომი. მათ შორის ათი მონოგრაფია, თორმეტი სასწავლო სახელმძღვანელო, 70 მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატიები. უკრაინის მტრების აღიარებით მის ნაშრომებზე არის აგებული რამდენიმე მნიშვნელოვანი მეცნიერულ-პრაქტიკული სტრატეგია და მათ შორის სისტემური (ჰიბრიდული) ომის თანამედროვე სტრატეგია.

ბატონმა ალექსანდრემ თავის საუკეთესო 6 სტუდენტს მოაპოვებინა მეცნიერებათა კანდიდატის და მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მისი მონაწილე-პრაქტიკოსები ითვლებიან საუკეთესო სპეციალისტებად თავის პროფესიაში.

სამი სახელმწიფო კომისიის, სამი სამეცნიერო ფორნალის რედაქციის, სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრია. 40 წლის განმავლობაში არის უზღვევის სასწავლებლების ლექტორი.

სამშობლოსათვის გაწეული უდიდესი ღვაწლისთვის უკრაინის პრეზიდენტმა „უკრაინის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის“ ნიშნით მიანიჭა.

უკრაინის სამართალდაცვით ორგანიზაციის მიერ მიღებული აქვს სიმამაცის ჯილდო, მედლები, საპატიო სიგელები და პირადი საათი, ხოლო ქალაქ კიევის მერისაგან – „მადლიერების ნიშანი“ და საპატიო სიგელი.

მას ასევე მიღებული აქვს უკრაინის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტის „მ. დრაგომანოვის სახელობის მედალი“.

ჩერნობილის ვეტერანთა ორგანიზაციისაგან – „გმირობის მედალი“. ორდენი უკრაინის ახალგაზრდული სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაციისაგან „უკრაინის განვითარების ორდენი“.

მეუღლე, ტინა მოროზოვა, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და კათედრის პროფესორია. მსოფლიო დონის სიცრუის დეტექტორის სპეციალისტი და უკრაინის პოლიგრაფიკის ასოციაციის პრეზიდენტია. ყავთ ვაჟი ალექსანდრე მოროზოვი, პროფესიით მშენებელი.



წლების განმავლობაში, უკრაინის სახელმწიფო ორგანიზაციაში სამსახურის დროს ალექსანდრე მოროზოვმა ბევრი იღვანა საქართველოს და უკრაინის მშორი ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

სასიამოვნოა, რომ ბატონ ალექსანდრესა და პაატა ბერიძის მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და ხშირად ეხმარებოდა ერთმანეთს. ბატონი პაატას წყალობით შეეძლო ალექსანდრეს მოახლოებული იქნებოდა შესახებ, რამაც განაპირობა ამ ინტერვიუს ჩანერა ონლაინ ფორმატში.

**– ბატონო ალექსანდრე, რამდენი წელია არ ყოფილხართ საქართველოში და კერძოდ მშობლიურ ყვარელში, თქვენ ხომ სიყმნელებს აქ გაატარებთ, ნუთუ ნოსტალგია არ გაწუხებთ?**

– 53 წელმა გაიარა რაც დავამთავრე სკოლა და დავტოვე ყვარელი. არ გადავამეტებ თუ ვიტყვი რომ ყოველი დღე ან ღამე ვისვენებ ჩემ სამშობლოს, უბნის ამხანაგებს, მეზობლებს, თანაკლასელებს, სახლს, რომელშიც გავიზარე, პაპის ვენახს და საფუტკრეს, ძალს, კატას და მამალს რომლებიც ისე მეგობრობდნენ, რომ ჩემ გარეშე პურსაც

არა ჭამდნენ. ვისვენებ ტყეს, ილიას გორას, მდინარეებს არხისულსა და ჩაგურ-გურას, ჩალის ტბას. შემოდის მოგონებების მთელი წიგნი დაგონებებით.

მაქვს დაკვირვება: წლების განმავლობაში ყველაფერი ცუდი ადამიანის ავიწყდება, ყველაფერი კარგი, პირიქით, ძლიერდება. მე მგონია რომ ეს არის ნოსტალგია.

მრავალმა წელმა გაიარა, მაგრამ ჩემი სამშობლო არ დამავიწყდა, თავისუფლად ვლაპარაკობ, ვკითხულობ და ვწერ ქართულად.

**– თუ გახსოვთ თქვენი კლასელები და მეგობრები, მათთან ერთად ყოფნის პერიოდი?**

– ყველაფერი და ყველა ნათლად მახსოვს. უბნის ძმაბიჭები – თემო და ვანო შაოშვილები, თამაზი ტალაგანი, სოსო და ბესიკი ნაზროშვილები... თანაკლასელები – ოთარი ჩიხიაშვილი, ვიქტორ მირიანაშვილი, სვეტა აგურაშვილი...

მაქვს ცალკე ალბომი, რომელშიც ასახულია ჩემი ყვარელში ცხოვრების პერიოდი. მაქვს თითქმის ყველა კლასელი-სა და მეგობრების სურათები.

კარგად მახსოვს მათთან ერთად მთაში სიარული, ტყეში ნადირობა, ინზობის ჩანჩქერებში ხტუნაობა. რა დასამა-ლია, ჩხუბებიც კარგად მახსოვს.

**– თქვენი შვილი ალექსანდრე რა შეხედულებასა და ბოლოს როდის ეწვია საქართველოს წინაპრების საფლავების მოსანახულებლად?**

ჩემი ბიჭი ჩემი სიამაყეა. 15 ივნისს 21 წელი უსრულდება. ღმერთმა მისთვის არაფერი არ დაინანა. მაღალი, თიხიკურად განვითარებული, ჭკვიანი. სკოლა ოქროს ფედალზე დაამთავრა. თავისუფლად ველოხ ინგლისურს, უკრაინულს, რუსულს. კრივი, ჭიდაობა, ტყვიის სროლა, ცურვა, მთის თხილამურები, ცხენის, მანქანის, გიდროციკლის მართვა – ეს და ბევრი სხვა რამე შეეგანსავე. პარა-შუტიც ხტომა გამოგვჩნა – მუღლემ ნება არ დავებო: „ბავშვი ისეც გააფუჭო და ახლა გინდა ეს სისულელეც ასწავლო“. ქალბები სხვაგვარად უყურებენ ამ ცხოვრებას.

ალექსანდრე ყვარელში ჩამოვიყვანე 2015 წლის ოქტომბერში. შატო ყვარელში დავსახლდი. მეგობრების დახმარებით სასაფლაო მოვაწესრავი. დიდი დახმარება განიხივე შატო ყვარელის მეწევერმა, მამაჩემის ამხანაგმა პაატა ბერი-აშვილმა, თანაკლასელმა ოთარი ჩიხია-შვილმა და ბავშობის ამხანაგმა თენგიზ ზაკალაშვილმა.

ისე დაემთხვა რომ ამ დროს ყვარელში ბავშვთა ფესტივალი და აშშ, თურქეთის და საქართველოს სამხედრო ორკესტრების გამოსვლები იყო. ალექსანდრეს ყვარელი, კახეთი, საქართველო, მშრომელი და მეგობრული ხალხი ძალიან მოეწონა.

**– თქვენ თორმეტი სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორი ბრძანდებით, ჩვენს განათლების სისტემაში ფეფორმები ვერაფერ დაამთავრდა, რამ-ნუხაროდ, სახელმძღვანელოების შინაარსით და ხარისხით უწყაყოფილოა პედაგოგიც და მოსწავლეც, თქვენ რას გვიჩვენებთ, რომელ პრიორიტეტებს უნდა მივნიჭოთ განსაკუთრებული ყურადღება?**

ერკაცკასიის ფედერაციამ არსებობა შეწყვიტა და იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მომდევნო დღეებში დამოუკიდებლობა გამოცხადდა აგრეთვე სომხეთში და აზერბაიჯანში.

1918 წლის 24-25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ნ. შორდანის თავმჯდომარეობით. სხდომაზე განხილულ იქნა თურქებთან მოლაპარაკებებზე ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანლის ა. ჩხენკელის წერილი, რომელიც ის მოლაპარაკებებზე შექმნილ მიმემ სიტუაციას აღწერდა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარებას ითხოვდა. მიიღეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის სეიმის თვითიკვიდაციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების თაობაზე. სხდომაზე დაამტკიცეს მომავალი მთავრობის შემადგენლობა.

ასევე მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის ეწოდებინათ საქართველოს პარლამენტი.

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მიიღეს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელი, ხოლო საქართველო – სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკა. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (ეროვნული საბჭო), ხოლო აღმასრულებელი ორგანო – მინისტრთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. პარლამენტიც და მთავრობაც კოალიციური იყო, მაგრამ ქარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული



– იგივე მდგომარეობაა უკრაინაშიც. სხვა და სხვა პოლიტიკურ ძალებს, ოლიგარქებს, გაუნათლებელ მეცნიერებს სხვა და სხვა მიზეზის გამო სურთ არაოპტიკური სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა. ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია, მანამ ქვეყანაში მშვიდობა და ერთმანეთის მიმართ გაგება და პატივისცემა არ დამყარდება. სამწუხაროდ ამ პროცესში ნამდვილ მეცნიერებს და პედაგოგებს აქვთ პატივარა როლი.

დღეს, ვისაც აქვს შესაძლებლობა, მიდიან ევროპაში, აშშ და კანადაში განათლების მისაღებად. ასეთი დრო მოვიდა და ჩქარა არ შეიცვლება.

**– რამ გამოიწვია ჩერნობილის ტრაგედია და რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეინარა?**

– არსებობს ამ უბედურების რამდენიმე ვერსია. დღევანდელამდე ხდებოდა დისკუსიები. მე ხუთი წელი ვიმუშავე ამ მიმართულებით და დღევანდის ვერსიას ვერ გამოვიცხადებ.

მსხვერპლის ზუსტი რაოდენობა არავინ არ იცის. სსრკ დაშლის შემდეგ ერთიანი სტატისტიკა არ არსებობს. არც პოლიტიკოსებს, არც მეცნიერებს არ სურთ აიღონ პასუხისმგებლობა და დაასახელონ მსხვერპლის რაოდენობა.

**– უკრაინის და საქართველოს ტერიტორიები მიტაცებული და ოკუპირებული აქვს რუსეთის ფედერაციას, წარმატებულ ფსიქოლოგსა და გამოცდილ ექსპერტს მიგანით, რომ დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს?**

– საქართველომ შეიკვლია და გადააჩინა ჩემი წინაპრები. მე აქ დავიბადე და ვავიზარებ. უკრაინაში ჩემი



წინაპრები ცხოვრობდნენ ასეული წლები და მე დავბრუნდი ჩემ ისტორიულ სამშობლოში. მე ვარ სამხედრო ადამიანი. ამიტომ ჩემთვის ეს მძიმე საკითხია. მოკლე დროში დაბრუნების შესაძლებლობა არ არსებობს.

მაგრამ იმის ჩათვლით, რომ რუსეთი ატარებს ისეთ პოლიტიკას, რომელმაც დაშალა სსრკ, ვფიქრობ იგი ახლო პერიოდში დაიშლება და შეიქმნება ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობა.

შემიძლია უკრაინის მაგალითი მოვიყვანო. მეოთხე საუკუნეში უკრაინის პუნები დაეცნენ, მეცხრე საუკუნეში – ნორმანები, მეცამეტე საუკუნეში – ურდო. სად არიან პუნები, ნორმანები და ურდო? ისტორიის სანაგვეზე. იქვე აღმორწყება დღევანდელი ურდო. მაგრამ არც ისე სწრაფად როგორც გვიჩნდა.

**– უკრაინელებისა და ქართველების მეგობრობის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიგიძღვით, რას უსურვებდით ისტორიულად მოძმე ხალხებს?**

– ქართველები და უკრაინელები ძალიან ახლობლები არიან მენტალიტეტით და ყოფიერების გზით. ორივე მშრომელი და მშვიდობიანი ხალხია. ათასწლეულან ისტორიაში არ არსებობს ფაქტი რომ ქართველები ან უკრაინელები სხვა ხალხს თავს დასხმოდნენ. ორივე ხალხი ათასი წლითი ამხანაგობენ. ბერძენმა არგონავტებმა ვერ უკრაინაში შემოიარეს და შემდეგ კოლხეთში გაემგზავრნენ. უკრაინელი თავად იზაბელა 1154 წელს დაქორწინდა რუსუდანთან – მეფე დემეტრეს ქალიშვილთან. 1738 წელს 5000 ქართველი დასახლდა უკრაინაში. 1760 წელს უკრაინაში დასახლდა დავით გურამიშვილი და კიდევ რამდენიმე ათასი ქართველი. დღეს უკრაინაში 40000 ქართველი ცხოვრობს. ბევრი მათგან სახელმწიფო პოზიციებზე არიან.

ჩვენ ვგვახსოვს რომ გაჭირვების დროს ქართველები ხალხმა ათასობით უკრაინელი ოჯახი შეიკვლია.

ჩემ ძმა ხალხს – ქართველებს, ვუსურვებ მშვიდობას, ქვეყნის გამომლანებას, მჯერა მომავალი თაობა აუცილებლად გააყვავებს საქართველოს.

გაცივავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. გიგზავნით კვიდან ყვარელის მოკითხვას და მადლობას ჩემი ოჯახის გადარჩენისათვის.

**– ბატონო ალექსანდრე, სულით და გულით გილოცავთ იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღევანდელობას და წარმატებებს!**

ესაუბრა ალექსანდრე გიგილოვსკი

## 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

დასაწყისი 1-ელ გვ-ზე

და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა ჩრდილოეთით, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი – სამხრეთით. მოსახლეობა შეადგენდა 2,5 მლნ-ს, ფართობი – 107,600 კვ.კმ-ს. დედაქალაქი – თბილისი. სახელმწიფო ენა – ქართული.

1917 წლის გაზაფხულზე, რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ, ამიერკავკასიაში ორხელისუფლიანობა დამყარდა: ერთი მხრივ, მუშათა და სამხედრო დემუტატობა საბჭოები, მეორე მხრივ, რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომისარიატი, რომელთაც რეალური ძალაუფლება არ ჰქონიათ. ამავე პერიოდში მოწვეულ იქნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც ესწრაფებოდა ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამხრეთ კავკასია კიდევ

უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ადგილობრივმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა არ ცნეს საბჭოთა ხელისუფლება და უკვე 1917 წლის ნოემბერში ჩამოაყალიბეს ადგილობრივი მმართველობა ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, რომელმაც რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელ დელეგატთაგან შექმნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – სეიმი.

1918 წლის თებერვალ-მაისში, რუსეთის სამოქალაქო ომის დროს, საქართველო შედიოდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში. მას მართავდა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც შედგებოდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენელთაგან. მაგრამ ფედერაცია არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რაც გამოწვეული იყო ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობით. ამას დაემატა თურქეთის მხრიდან აგრესია, რომელმაც დაიკავა ბათუმი, არტანუჯი, ოზურგეთი, საფრთხე შეექმნა ახალციხესა და ახალქალაქს.

შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მოვლენათა შემდგომი განვითარება: 1918 წლის 26 მაისს ამი-

ერკავკასიის ფედერაციამ არსებობა შეწყვიტა და იმავე დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მომდევნო დღეებში დამოუკიდებლობა გამოცხადდა აგრეთვე სომხეთში და აზერბაიჯანში.

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-

ლიკა. მიიღეს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელი, ხოლო საქართველო – სრულფასოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკა. საერთაშორისო ომებში საქართველო მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს მიუხედავად მისი ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქმნის ყველა პირობას მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების თავისუფალი განვითარებისათვის“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო იყო პარლამენტი (ეროვნული საბჭო), ხოლო აღმასრულებელი ორგანო – მინისტრთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იყო პარლამენტის წინაშე. პარლამენტიც და მთავრობაც კოალიციური იყო, მაგრამ ქარბობდნენ სოციალ-დემოკრატიული

პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ მუშები, არამედ ღლებიც. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის შემადგენლობა ასეთი იყო: მთავრობის თავმჯდომარე – ნოე რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი – აკაკი ჩხენკელი, შინაგან საქმეთა მინისტრი – ნოე რამიშვილი, სამხედრო საქმეთა მინისტრი – გრ. გიორგაძე, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი – გ. ყურული, ოუსტიციის მინისტრი – შ. ალექსი-მესხიშვილი, სახალხო განათლების მინისტრი – გ. ლასხიშვილი, მინათმომკიდებისა და შრომის მინისტრი – ნ. ხომერიკი, მიმოსვლის გზების მინისტრი – ი. ლორთქიფანიძე.

1919 წლის მარტში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60%-მა. დამფუძნებელმა კრებამ შეცვალა ეროვნული საბჭო და დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტის სამართლებრივი ძალმოსილება.

დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ 3 წელიწადს, 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება.



დასაწყისი მე-4 გვ.-ზე

ძირს ცვივა. ცრუფარიანას ექსკრემენტებზე (ტკბილ გამოწყობებზე) სახლდება სიმაფის გამომწვევი სოკო კანოდიოპი, რომელიც ვაზის მწვანე ნაწილებსა და მტკეცებს ამბევს და გადასამუშავებლად უფარგის ხდის. ცრუფარიანათი დაზიანებული ვაზი წლების მანძილზე ძლიერ კნინდება და ხმება. დაზიანებულ ვიწახებში მოსავალი 70-75%-ით მცირდება.

ბრძოლის ღონისძიებები – შესხურებისას სრულად უნდა დასველებდეს მავნებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში პესტიციდები მათზე არ იმოქმედებს. ფოთლებზე ცრუფარიანების დასახლების ადგილში მათზე შესხურება ქვედა მხრიდან უნდა მოხდეს. კარგ შედეგებს იძლევა მტაცებელი ხოჭო კრიპტოლემუსი, რომელსაც სანარმოო ბიოლაბორატორიები ამრავლებენ. ხოჭოები უნდა გაფრთხილდეს აგვისტოს დასაწყისში პეტარზე 10 ათასი (ცალის რაოდენობით).

მკურნალობა ტარდება ისეთი პრეპარატებით, როგორცაა ბი-58 ახალი, დროსანი, ნურელ – დ, მოვენტო, პერფოსი და ა. შ.

ვაზის აბლაგოვანი ტიპის

მავნებელი ვაზს ძირითადად ფოთლებს უზიანებს, რასაც მათი გაუფრთხილება და ნაადრევი ჩამოცვენა – მოჰყვება. გამოზამთრებული ტიპის ვაზზე უფრო ახალგაშლილ კვირტებს აზიანებს, ხოლო შემდეგ, ფოთლებსა და ყლორტებს, განსაკუთრებით ძარღვების განვითარება შესაძლებელია. ნაწუნ ადგილებში ფოთლებსა და ყლორტებზე მოშავო ყავისფერი ნერტილოვანი ლაქები ჩნდება. დაზიანებული ყლორტები მთლიანად შავდება და ილუპება. მზარდი ფოთლის დაზიანებული ფორფიტა არათანაბრად ვითარდება, იკრუნჩხება და ცვივა. დადგენილია, რომ ტიპებით ინტენსიურად დაზიანებულ ვიწახებში ყურძნის მოსავალი 20%-ით მცირდება, ხოლო შაქარიანობა 3%-მდე იკლებს.

ბრძოლის ღონისძიებები – აბლაგოვანი ტიპის წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა „ორეტოსი“ I ლიტრი პეტარზე, ენცილორი, ნეორონი. ფოთლები უნდა შესხურდეს კარგად, ქვედა მხრიდან. პირველი შესხურება ტარდება ყლორტებზე 3-4 ფოთლის გამოტანისას, მეორე ნაშობიდან 10 დღის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში ტარდება კიდევ ერთი ნაშობა. ტიპის წინააღმდეგ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კარტოფილის, თავიანი ხახვის ან ბაბუნჯერას ნაყენებიც.

იმარული პალნა ცრუფარიანა

ზრდასრული, სქესობრივად მომწიფებული დედლის სხეული მოგრძო

ოვალურია, სიგრძეში 5-დან 11 მმ-მდე მერყობს. ცრუფარიანას მატლები და ახალგაზრდა დედლები ვაზის ფოთლის ფორფიტის როგორც ზედა, ისე ქვედა მხარეს, მტკეცის კლერტზე, ყუნწზე, მწვანე ყლორტზე, პნკალზე სახლდებიან, ფოთლები ხმება და ცვივა, ყლორტი და მტკეცანი არანორმალურად ვითარდება, კლერტი ჭკნება და ნაყოფი ზრდადარეული ვითარდება რჩება. ამავე დროს, მათ ტკბილ, ნებოიან გამოწყობვზე საპროფიტი სოკო ვითარდება, რომელიც ვაზის მწვანე ნაწილებს შავი ფოჭვით ფარავს და ყურძნის ხარისხს აუარესებს.

ბრძოლის ღონისძიებები – იმარული ბალიშა ცრუფარიანას წინააღმდეგ საუკეთესო შედეგს იძლევა ქიმიური მეთოდების გამოყენება. კარგ შედეგს იძლევა კვერცხების დების პერიოდში მავნებლის მექანიკური გასრისვაც.

გათავაზობთ აპროპირებულ ვაზის ნაშობის ზოგად სქემას, რომელიც ითვალისწინებს ყველა დასაშვებ შემთხვევას, შესაბამისად ამინდის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია იგი შეიცვალოს, კერძოდ: გადანაცვლებს ნაშობების თანმიმდევრობა, შემცირდეს ან გაიზარდოს მათი ჯერადობა, ან საერთოდ არ დაგეგმოდეს რომელიმე მათგანის ჩატარება.

მოცემული სქემის გამოყენებით თქვენ დაიცავთ ვაზს გავრცელებული დაავადებებისა და მავნებლებისაგან: ჭრაქი, შავი ლაქიანობა, ნაცარი, ნაცრისფერი სიდამლე, შავი სიდამლე, ანტრაქოზი, ყურძნის ჭია, ტკიპა და ბაქტერიული დაავადებები.

- სამუშაო ნაზავი მოგაზრდად უშუალოდ ნაშობის წინ. თითოეული პრეპარატის რეკომენდებული ნორმა (ცალ-ცალკე გაგვხსნათ მცირე ზომის ჭურჭელში, თანმიმდევრობით გადავსებთ მონათესავე შევსებულ ავზში და კარგად მოვუვროთ. შემდეგ ავზი შევავსოთ წყლით სასურველ ნორმამდე ისე რომ მორევა არ შეუწყვიტოთ.
- მაღალი შედეგის მისაღებად მცენარის ფოთლი სამუშაო ნაზავით თანაბარზომიერად დაფაროთ როგორც ზედა, ასევე ქვედა მხრიდან.
- არ შევასხუროთ ქარიან ამინდში, მაშინ როცა ნვიმა ახალი გადაღებული და ფოთლები სველია, ან ვიცით რომ მოსალოდნელია ნვიმა.
- დავიცვათ უსაფრთხოების ყველა ნორმა რაც მითითებულია პესტიციდების მფუთვავზე.

ლევან პურტანიძე

სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის უფროსი

ალექსანდრა გიმილოვსკი

ვაზის წამლობის ზოგადი სქემა

მავნებლის სახელი (სახეობის ჩამონათვა)	მავნებლის სახელი (სახეობის ჩამონათვა)	აპლიკაციის თარიღი	მავნებლის სახელი (სახეობის ჩამონათვა)	1 ჰექტარზე საჭირო პარამეტრები				
ფოთლების გამლისას	ჭრაქი, შავი ლაქიანობა	ფენიტოიდი	ანტრაკოლი*	1.0 კგ ტკიპა	ინსექტიციდი	ენცილორი*	0.3 ლ.	
I 5-6 ფოთლი	ჭრაქი, შავი ლაქიანობა	ფენიტოიდი	ბასალილი*	1.5 კგ.	ფენიტოიდი	საბოტოლი*	2.5 კგ.	
II 8-10 ფოთლი	სარველების წინააღმდეგ ვაზის ძირები	პურბიციდი	რებოქ*	2.0 ლ.	ფენიტოიდი	მულოლი* დუო	2.5 კგ.	
III ყვავილობის წინ	ჭრაქი	ფენიტოიდი	ფალკონი*	0.3 ლ.	ნაცარი	ფენიტოიდი	ფალკონი*	0.3 ლ.
IV ყვავილობის შემდეგ	ყურძნის ჭია	ინსექტიციდი	დევის* პროფი	0.05 კგ.	ჭრაქი, ნაცრისფერი სიდამლე	ფენიტოიდი	მიკალი* ლუმბი	3.5 კგ.
V გამოზობისას	ნაცარი	ფენიტოიდი	ნატივი*	0.16 კგ.	ნაცარი, ნაცრისფერი სიდამლე	ფენიტოიდი	მულოლი* დუო	2.5 კგ.
VI 10-12 დღის შემდეგ	ყურძნის ჭია	ინსექტიციდი	დევის* პროფი	0.05 კგ.	ჭრაქი, შავი სიდამლე, ანტრაქოზი	ფენიტოიდი	კაპტენი სუპერი*	4.0 კგ.
VII 10-12 დღის შემდეგ	სარველების წინააღმდეგ ვაზის ძირები	პურბიციდი	რებოქ*	3.0 ლ.	ჭრაქი, შავი ლაქიანობა	ფენიტოიდი	ბასალილი*	2.0 კგ.
VIII 10-12 დღის შემდეგ	ჭრაქი, შავი სიდამლე, ანტრაქოზი	ფენიტოიდი	ნატივი*	0.18 კგ.	ნაცარი, ნაცრისფერი სიდამლე	ფენიტოიდი	ნატივი*	0.18 კგ.
IX 10-12 დღის შემდეგ	ჭრაქი, ბაქტერიული დაავადებები	ფენიტოიდი	კაპტენი სუპერი*	4.0 კგ.	ნაცარი	ფენიტოიდი	ფალკონი*	0.4 ლ.
X 10-12 დღის შემდეგ	ჭრაქი, ბაქტერიული დაავადებები	ფენიტოიდი	ირიკო* (სალენდის პრეპარატი)	2.5 კგ.	ნაცარი	ფენიტოიდი	სულდოლაკი* (გოპრინი)	5.0 კგ.
XI შეთვალისას	ჭრაქი, ბაქტერიული დაავადებები	ფენიტოიდი	ირიკო* (სალენდის პრეპარატი)	2.5 კგ.	ყურძნის ჭია	ინსექტიციდი	დევის* პროფი	0.05 კგ.

შენიშვნა: ამინდის პირობებიდან გამომდინარე მოცემული სქემა შესაძლებელია შეიცვალოს. კერძოდ გადამხედველი ნაშობების თანმიმდევრობა ან მოაკლდეს ზოგიერთი ნაშობი

განმარტებანი: პურბიციდი რუბოზი\* დოზა დანიშნულია მხოლოდ ზოგადი მრეების შესაბამისად.

ფოთლების გამლისას, თუ ტიპის გამორჩენის საშიშროებაა, შესაძლებელია ნაცარი ტიპის წინააღმდეგ ნაშობის ენცილორი 0.3 ლ/ჰა, დამატება ანტრაკოლი 1კგ/ჰა-ს ოდენობით ლაქიანობასა და ანტრაქოზზე

იმ ნაკვეთებში, სადა კვრიბრად ცრუფარიანას მავნებელი აღინიშნება ტარდება მოვლენის შემთხვევაში ნაშობის 1.5 ლ/ჰა ნორმაში, ყვავილობის შემდეგ მრეკვლების ბარდის ზომის მიღწევამდე. მონაცემები მოცემულია თუ საჭირო გახდება მავნებლის ნაშობის გამოყენების ტარდება ნაშობის პირიფიზიის 1.5 ლ/ჰა

იმ შემთხვევაში თუ არს ადგილები სადაც სიდამლისაგან მოდრეკილება, ან და გინდა ან გინდა ისე რომ რთული იწებება და მტკეცის შეხება გინდა, შეთვალისას უნდა ჩაატარდეს შესხურება ტელდორის ან სიკა მამოვებით, განხედვებული დონებით მხოლოდ მტკეცის არეში.

რა საშუაოები ესაჭიროება ბაღს მაისსა და ივნისის დასაწყისში

მაისი მებღაღებისთვის ყველაზე აქტიური თვეა – ამ დროს ზამთრისგან თავდაღწეული ბუნება უკვე აქტიურად იღიძებს, მცენარეები ჰყვავის და ათასფერს იძენს, სითბო კი ყოველდღე უფრო აქტიურად გვაგრძობინებს ზაფხულის მოახლოებას. თუმცა, სანამ მიწა თბება და იღიძებს, სწორედ მაისში ბაღს და მიწის ნაკვეთს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, რომ წლის ბოლოს მოსავალმა არ გავაზნობილს. ამ დროს საქმის და ბაღის მოვლის გადადება მოსავლიანობაზე ძალიან ცუდად აისახება.



გვეყვ, მაგრამ თუკი სასუქს დაფუძნებთ (სასურველია ორგანული) მცენარისათვის უკეთესია. სასუქის დამატების შემთხვევაში მცენარე აუცილებლად კარგად უნდა მოიზარდოს. თუ ცივმა ვაზაფხულმა გაახანგრძლივა გადარგვის პერიოდი. თუმცა, ვინაიდან მცენარეების ვეგეტაცია დაწყებულია, გადარგვის შემთხვევაში აუცილებელია ნერვის ამოთხრა და გადატანა ისე მოხდეს, რომ მიწის დიდი გუნდა ამოვყოლოთ, რათა ფესვები არ დაზიანდეს. გადარგვის შემდეგ კი სასურველია მულჩირება. უნდა გავახლოდებოთ, რომ მიწის მეორე ნახევარში გადარგვა მიზანშეწონილი ნაკლებად არის, თუმცა მიწის მოზრდილი გუნდის ამოყვებით, შედეგად სასურველი იქნება.

არ უნდა დაგვავიწყდეს ზოგიერთი ხეხილის შენამულა. განსაკუთრებით ეს ეხება ატამს, რომელიც დასავლეთ საქართველოში მაღალი ტენიანობის გამო, ხშირად ავადდება სოკოვანი და სხვა პარაზიტებით. ამიტომ მას რამდენჯერმე სჭირდება პრეპარატებით დამუშავება. ყურადღება სჭირდება კენკროვანებსაც ყოლის, მოცხარს და სხვას. რათა მოსავლიანობის პერიოდში ხმელმა ტოტემმა ან საყრდენის არქონამ მცენარე არ დაზარალოს. ყოლის გამაგრება ესაჭიროება საყრდენებით, მოცხარს კი გამოხ-

უპირველესად უნდა განვსაზღვროთ, აპრილში და შედარებით ცივი ვაზაფხულის პერიოდში მოსამზადებელი სამუშაოები, დავასრულოთ თუ არა. იქნებ სადმე დაუბარავ, გაუნმენდავი ან გადასარგავი და მოუვლელო დაგვრჩა მიწის ნაკვეთი ან რაიმე მცენარე. სწორედ დაუსრულებელი სამუშაოები უნდა დავასრულოთ და დასარგავი ან დასათესი თუკი რაიმე დაგვრჩა, სასწრაფოდ უნდა მივხედოთ ამ საქმეს, უკვე ღია გრუნტში.

აუცილებელია, პირველ ეტაპზე ბაღის მოწესრიგება. უნდა შეგროვდეს ყველა ნარჩენი (მცენარეების ნარჩენები, ხმელი და მოტეხილი ტოტები) და დაწვას. უნდა შევამოწმოთ შრომის იარაღებიც და საჭიროების შემთხვევაში შევაკეთოთ ან მოვანერგოთ. თორემ როცა ისინი დაგვჭირდება, მათი გაუმართაობა ხშირად დროში შეგვაფერხებს ან უამრავ დროს დაგვაკარგავინებს.

ახლა კარგი დროა იმისათვის, რომ ნაყოფისმომცემი ხეებისა და ბუჩქების ძირი გავაფხვიეროთ, გავგაზლით და სარეველები მოვაშოროთ, ზაფხულში ეს ცოტა რთულია. ვაფხვიერებისა და განმენდის შემდეგ კი სასუქი შევიტანოთ და კარგი იქნება მულჩირებაც ანუ ვარჯის ძირში ნახერხის ან ხმელი ნაშვის დაყრა, რაც ტენიანობის შენარჩუნებას შეუწყობს ხელს და ზედმეტ ტენი არ დაიკარგება. მულჩირება კომპოსით ან კარგი მიწის ნაზავითაც შეიძლება.

დამატებით უნდა გამოვკვებოთ სასუქით ხეხილოვანი მცენარეები (ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ალუბალი და სხვები). კარგი და სასურველია რომ ეს ყველაფერამდე

ალალი ლუკის ფასი

იუოპა: აღამიანთა ჭეშმარიტი საგანგებო შრომისუნარიანობა

კაცობრიობას დასაბამიდან დღემდე ბევრი რამ აფიქრებს, მთავარი კი მაინც შვილების, მომავალი თაობის აღზრდა. ბავშვის ფეხის ადგმისთანავე მისი სწორი ცხოვრებისათვის მომზადება და მისი მოზავალზე ზრუნვა. დიდი ილია ბრძანებს: „ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი აღამიანისა“.

დღისთვის საჭირო და სასარგებლო, ამჟამინდელი ყოვაცხოვრებისათვის გამოსაყენებელი. დღეს ამიტომაც ვისხენებ ჩემს სიყმნაველს... იქნებ დრო-ჟამთან საკამათოდაც.

აი, მოგონებდად გამომეცხადე ჩემი ბავშვობა.

მაგალითისთვის მოგახსენებთ, რომ ჩვენი ბავშვობის პერიოდში გოგო-ბიჭები სათამაშოების ერთ ნაწილს საკუთარი ხელით და მიხედვითობით ვაკეთებდით. ამიტომაც ყველა სათამაშო გვიყვარდა და თვალისჩინებით ვუფრთხილდებოდით.

ახლა ბავშვობისათვის სათამაშოებს ვიცოვლობთ, თანაც იმდენს, რომ სად დატვირთ, აღარ იციან. რაკი ბევრი სათამაშო აქვთ და თანაც მზამზარეულად მორთმეული, ისინი ხშირად მათ სულაც არ უფრთხილდებიან, ზოგჯერ ზედაც არ უყურებენ.

იქნებ ცოტა მკაცრადც ვთქვათ, მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, დღევანდელ ახალგაზრდებს უამრავი გასართობი გაუჩნდა, აღარ იციან ხოლმე, რით შეიქციონ თავი და... ზოგი მაინც ჩივის გართობა გვაკლია.

დღეს ჩვენი ნიჭიერი, განათლებული ახალგაზრდობა გვყავს. თანამედროვე ახალგაზრდებს დიხაბაც სჭირდებათ ვართობა, დიხაბაც უნდა ჰქონდეთ ლამაზი ტანსაცმელი და ფესაცმელი, დადიდნენ მოხდენილად და მშობლივად. მაგრამ ამასთან ერთად, მათ შრომაც უნდა შეეყვარათ საკუთარი სიცოცხლისეცავით. ვოლტერი გვასწავლის, რომ „შრომა სამი უდიდესი უბედურებისაგან გვათავისუფლებს: მონყენილობისა, მანკიერებისა და გაჭირვებისაგან“.

გულმა გულისა უნდა თქვას. ფრიად კეთილშობილური ჩვეულება ჰქონდათ ჩვენი წინაპრები: მინაზე უხელოეთი პურის ნატეხი თუ დაუფარებლობა, ან სხვის დავაღებულ მოპკრავდნენ თვალს, უეჭველად მონინებით აიღებდნენ, სულს შეუბერავდნენ, ისე აკოცებდნენ, თითქოს პატეხება სოხოვანი, და ყორენებ ან ხეზე შემოდებდნენ, ეტყობა უფალმა ეს ულკმა ჩიტის ულუფად გააჩინა.

ქართველი კაცი პურის ჭამისა აუცილებლად ქუღს რომ იხდის, ეს ჩვეულება, ეტყობა, იმ მიზეზებამ დაგვიტოვა, პური ოდით-კანაც ყველაზე პატეხისცემად რომ მიჩნდა. ხელდაუხანებლამ პური არ უნდა გატეხო, რადგან პური ამქვეყნად ყველაზე წმინდააო, ესეც გამოვიჩინა.

ზოგი იტყვის, წარსულის მოგონებები დღეს აღარ გვარგია, ახლა სხვა დროაო. რა თქმა უნდა ის სხვა დრო იყო, ახლა ცხოვრება უფრო რთულია ყოველმხრივ, როგორც ურეთთან შედარებით რთული კოსმოსური ხომადრივ, მაგრამ ცხოვრებაში ერთი კანონი მუდამ უცვლელად უნდა დარჩეს: აღამიანი სიყმნადე უნდა ეწვეოდეს შრომას, იკოდეს შრომისა და ალალი ლუკის ფასი.

სიზარმაცის ტვირთი ყველაზე მძიმე საირველი ცხოვრებაში. ხოლო შრომის ტვირთი, რა დამლევადც უნდა იყოს, სასამიერო ტვირთია შრომისმოყვარე აღამიანისათვის. ამ ტვირთის საზიდავად ჩვენი შვილები უნ შეგვეცოდებინა წურსოდეს, ეს უპირველეს ყოვლისა, მათი სულის სინამდინისა და სხეულის ჯანმრთელობისათვის არის საჭირო, ხოლო, „შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდი ვალია მშობლისა“ – გემოდერას წმინდა ილია მართალი.

დიდება შენდა, უფალი იესო ქრისტე! ამინ.

ჩვენი თან არს ღმერთაო!

თათა ღამთაშვილი,

ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედა-ცენტრის“ დირექტორის მოადგილე, ფაზის მუნიციპალიტეტის აკადემიის ნამდვილი წევრი

# ნუ მივატოვებთ მას გაჭირვებაში



გაზეთ „ყვარლის“ წინა ნომერში დაიბეჭდა ქალბატონ იზოლდა იოსებიანის საინტერესო მოთხრობა ძაღლის ერთგულების შესახებ, რითაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით რაოდენ საჭირო და მნიშვნელოვანია ის ყველა ოჯახისთვის.

ამჯერად ისევ ძაღლის შესახებ მოგიყვებით. ზოგმა შეიძლება გულში გაიფიქროს და თქვას, ამ ეპიდემიის ფონზე, როცა ხალხს უჭირს და სიკვდილ სიცოცხლის ზღვარზეა, რა დროს ძაღლია, ვნუხვარი, მაგრამ ისინიც ხომ სულიერები არიან, ისინი ვერ გვეტყვიან რა სტკივათ, რა აწუხებთ, ამიტომაც საჭირო ჩვენი გვერდში დგომა.

ფიქრობ, არ არსებობს ოჯახი, რომელსაც ოთხფეხა ბინადარი – ძაღლი არ ჰყავდეს. მას თავისი მისია აქვს, რა – დაცვა სახლი უცხო ადამიანებისგან, ვირობების, ქვეწარმავლებისგან და სხვა. ჩემი პრაქტიკიდან ვიცი, რომ ძაღლი აგრესიულად არ უნდა გაზარდო, არ უნდა დააბა, რომ შემდგომში იანჩხლოს და ზიანი მიაყენოს მეზობლებს და გარეთ მოსიარულეებს. თუ მიხვდავ იცე, როგორც საჭიროა, ძაღლი ყოველთვის შენი ერთგული იქნება. ამიტომ სხვადასხვა წყაროებიდან ვკითხულობთ, რომ ძაღლი ადამიანის მეგობარია.

ცოტა რამ მათი ისტორიის შესახებ, რომელიც მის „მეგობრებს“ ვფიქრობ დაინტერესებს.

**რა არის ძაღლი?** – ძაღლი ძუძუმწოვრების გვარის ძაღლისებრთა ოჯახიდანაა. მათი სხეულის სიგრძე 50-160 სანტიმეტრია, კუდის – 20-50 სმ; მასა 6-80 კილოგრამს აღწევს. იკვებებიან ცხოველებით, ზოგი იკვებება ფლორით. მრავალფეროვანი ნელინადმი ერთხელ, შობენ 1-9 უსუსურ ლეკვს. გავრცელებული არიან ყველგან, გარდა ანტარქტიდისა, ახალი ზელანდიისა, მადაგასკარისა, სულავერისა და სხვა ოკეანური კუნძულისა. გვარში ცხრა სახეობაა, რომელთაგან საქართველოში გვხვდება 2 (მგელი და ტურა) ძაღლის წინაპარი მგელი.

**ძაღლი ადამიანის მეგობარია** – ალბათ არაერთხელ მოგისმენიათ, რომ ძაღლი ადამიანის ოთხფეხა მეგობარია და ეს ასეცაა. ისტორიას არაერთხელ უნახავს ეს ფაქტი და ახლაც ყოველ წამს ხდება. შეიძლება ძაღლმა სხვაზე მიინიოს საკუბუნად, თუმცა ნუ ვიტყვი, რომ ის არანაირად არ არის ადამიანის მეგობარი, ის შეიძლება გრძობდეს საფრთხეს და იცავდეს თავის ბატონს.

**მტკიცებულება, რომ ძაღლი ადამიანის მეგობარია:** – კანადაში მცხოვრებმა ოჯახმა გადაწყვიტა შობას მეგობრის სახლში ესაღლა. ბებია სახლში დარჩა და ჩაეძინა. სახლში ცეცხლი გაჩნდა, რომ არა ცხრა წლის ძაღლი მაქსი, რომელმაც ბუბიას კბილები ჩაავლო და საკარმიდან ჩამოაღო. მაშინ კი გაიღვიძა ბუბიამ და სასწრაფოდ სახლი დატოვა. თუმცა, ოჯახს დაეღუპა კატა, ზაზუნა და ორი კურდღელი.

**ძაღლი ადამიანის დამხმარე** – ძველად ძაღლი ადამიანის დამხმარე იყო პროფესიულ საქმიანობაში. მისი ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება საბრძოლო ჯარისკაცად ყოფნა იყო. ძაღლებზე ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო მიმაგრებული. ისინი განერთილები იყვნენ იმისთვის, რომ ტანს ქვეშ შეძვრობოდნენ, ძაღლებს იყენებდნენ ასევე დანადგარი ველის გასაწვად, რომლებიც ცივილიზებული ქვეყნების განვითარების ძაღლების მსგავსად კი არ პოულობდნენ ნაღებს, არამედ გარბოდნენ და თვითონ ფოტოდგობდნენ. დღეს ძაღლებს საგამოძიებო დავალებები აქვსრიათ.

**ძაღლების გენოციდი** – ინტერნეტ სივრცეში ძალიან ხშირად ვრცელდება უამრავი ვიდეო მასალა იმაზე, თუ როგორ მიირთმევენ აზიელები, კონკრეტულად ჩინელი ხალხი შინაურ ცხოველებს, ძაღლებს და კატებს. არის ვიდეო, სადაც ჩანს ძაღლის ცოცხლად გატყავება, შემდგომში კი ცოცხლად შეწვა. არის ადგილი, სადაც კლავენ უამრავ ძაღლს და ატყავებენ, შემდეგ ხარშავენ, ბოლოს კი ყიდიან. ასეთი ქმედებების უამრავი ვიდეო და ფოტომასალა არსებობს. ეს არის ცხოველების გენოციდი და ენით აუწერელი სისასტიკე, რომელიც უნდა დასრულდეს.

**ძაღლი საექსპერიმენტო ვირთხა** – ძაღლების ისტორიაში არის ისეთი მომენტებიც, სადაც მეცნიერები ძაღლებზე ექსპერიმენტებს ატარებენ. ერთ-ერთმა მეცნიერმა ვლადიმერ დევიხოვმა 1954 წელს მსოფლიო შეაზნაურა, როდესაც თავის მიერ შექმნილი მონსტრის დემონსტრირება მოახდინა. მან ეს არსება მოსკოვის გარეუბანში მდებარე ლაბორატორიაში ქირურგიული ჩარევის გზით შექმნა. ლეკვის თავი, მხრები და ნინა თათები დიდ გერმანულ ნაგავს კისერზე გადაუწერგა, ორივე თავი ერთდროულად სვამდა რძეს და შემდეგ, როდესაც ეს რძე ლეკვის გადაჭრილი საყლაპავი მილიდან უკან იღვრებოდა, საცოდავი არსება შიშისგან კანკალებდა. 15 წლის მანძილზე დემიხოვმა 20 ორთავიანი ძაღლი შექმნა და ვერც ერთმა ვერ იცოცხლა; დიდი ხნის მანძილზე, ყველა ცხოველი ქსოვილების შეუთავსებლობის გამო დაიღუპა.

**ძაღლები მინიდან უსარსულობაში** – 1960 წლის 19 აგვისტოში საბჭოთა მეცნიერებმა ორბიტაზე ორი ძაღლი, – სახელად ბელკა და სტრელკა გაგზავნეს. მათ კოსმოსში 25 საათი გაატარეს თავგებისა და ბუზების კომპანიაში და წარმატებით დაბრუნდნენ დედამიწაზე.

ასე, რომ ძაღლებს ბევრი რამის გაკეთება უნდვიათ და უნევი, სტკივათ და უხარიათ, ისინი ყოველთვის რჩებიან და ადამიანების ერთგულად, თუმცა, ზოგიერთები ზოგ შემთხვევაში დასაწყობებ მათ. გრძობს თუ არა ძაღლი ამას? რა თქმა უნდა გრძობს, სტკივა და მაინც ძაღლი ადამიანის მეგობარია.

ყველა ყვარელს აინტერესებს რა იონში არსებული მდგომარეობა მოუსაფარ და უპატრონი ძაღლებთან დაკავშირებით. სამწუხაროა და ფაქტია, ყველა ვხვდებით, რომ ქალაქის ცენტრში და არა მარტო ქალაქის ცენტრში – მის შემოგარენში უამრავი მანანალა ძაღლი იყრის თავს, რომლებიც საშიში არიან ფეხით მოსიარულეებისთვის, ბავშვებისთვის. ამასთან დაკავშირებით საუბარი ჩავინერეთ მომავალ ვეტერინარ აბიტურიენტთან, ძაღლების ქომაცსა და „ექიმთან“, ქალბატონ ნათია ბაქრაძეს.

**– ქალბატონო ნათია, როდიდან გაგიჩნდა ძაღლთან დამეგობრების სურვილი?**

– პირველად ძაღლების მიმართ ინტერესი გამიჩნდა მაშინ, როცა გავაცნობიერე რამდენად დაუცველები არიან ისინი და გადავწყვიტე აშელო ის ფუნქცია, რასაც არ ასრულებს არც საზოგადოება და არც სახელმწიფო. თვალწინ მომიკვს „მოუსაფარი“ ძაღლი (ამბავს პირადად შევესწარი), რომლის მკვლელებსაც არც საზოგადოება და გაუნაწინააღმდეგება და არც სახელმწიფომ დასაჯა დამნაშავე „ცხოველის მკვლეელი ადამიანსაც მოკლავს“ – არსებობს ასეთი თქმულება.

**– სულ მათთან ტრიალებ, რომ იტყვიან მათი შვეველი „ექიმი“ ხარ, ამ ვითარებაში რა არის შენი პროფესია, რით ეხმარები მათ?**

– რადგან გადავწყვიტე ოთხფეხა მეგობრების დაცვა, ვცდილობ მაქსიმალურად დავეხმარო მათ, რაც ჩემს შესაძლებლობებს არ აღემატება. კერძოდ, თუ გავიგე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ძაღლის შესახებ, რომელიც უყურადღებოდ მოკვდება, მე ასეთი ძაღლი ამყავს, ვუნევი სამედიცინო დახმარებას და სრული რეაბილიტაციის შემდეგ გასტერილიზებულს და აცრილს (ცოფზე) ვუშვებ ბუნებრივ არეალში.

**– უამრავი მანანალა ძაღლი ტრიალებს ქალაქის ცენტრში, რას გვეტყვი მანანალა ძაღლებზე, რომლებიც ხშირად საშიში არიან მოსახლეობისთვის, ბავშვებისთვის. ხომ შეიძლება მათ ჰქონდეთ ცოფი და მოხდეს ტრაგიკული შემთხვევა? შენი აზრით რა არის გამოსავალი რომ ეს არ მოხდეს?**

– მოუსაფარი (მანანალა) ძაღლები ნამდვილად შეიძლება იქცნენ ქალაქის პრობლემად თუ არ გაატარა სახელმწიფომ შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, სურსათის უვნებლობის სამსახური ვალდებულია ყოველ 11 თვეში მოახდინოს ძაღლების ვაქცინაცია-რევაქცინაცია. ამის გარდა მუნიციპალიტეტი ვალდებულია მართოს პოპულაცია-სტერილიზაცია კასტრაციის გზით და არა მოსახლეობამ იარაღებით. ცნობისათვის (ეს მნიშვნელოვანია), ძაღლის მოკვლა სამოქალაქო კოდექსიდან გადაჯანჯალი სისხლის სამართლის კოდექსში. დანაშაული 259-ე მუხლის სფუძველზე ითვალისწინებს დამნაშავეს დასჯას 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

**– შეგება თუ გაქვს მათ აცრებთან დაკავშირება?**

– რაც შეეხება აცრებს, ის რამოდენიმე სახეობისაა. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის ანტირაბიული აცრა. ყვარლის მოუსაფარი ძაღლების უმეტესობა შარშან ჩვენ, აქტივისტებმა ავცერით.


**– ჩვენს მეზობელ რაიონებში თუ არის ძაღლით თავშესაფარი და თუ არის აზრი საზოგადოებაში იმის თაობაზე, რომ აქაც შეიძლება გაკეთდეს ასეთი სახეობი?**

– ჩვენს მეზობელ რაიონებში არ არსებობს თავშესაფარი, გარდა თბილისის, ერთ-ერთი კერძო პირის თამაზ ელიზბარაშვილის თავშესაფარისა, სადაც შეიძლება ძაღლი მიყვანონ და სიცოცხლის ბოლომდე მასზე იზრუნონ. დანარჩენი თავშესაფრები არის პოპულაციის მართვის ცენტრები, სადაც ხდება ძაღლების სტერილიზაცია-კასტრაცია, ვაქცინაცია და დაბრუნება ბუნებრივ არეალში. გვირდებიან, რომ იქნება გურჯაანის ძაღლით თავშესაფარი. ამ თემაზე გურჯაანის მერთან, ბატონ არჩილ ხანდამაშვილთან უკვე მქონდა საუბარი და როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს იქნება პოპულაციის მართვის ცენტრი.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ მოუსაფარ ძაღლით გვერდში მდგომელია და დღემდე არაერთი უპატრონი ძაღლი ჰყავს შეკვდილებული ყვარელ ქალბატონ ნინო ზაუტაშვილს, მიუხედავად მამუშაოს დატვრთული გრაფიკისა, მათ არასოდეს არ ტოვებს უყურადღებოდ, ასევე ლევან კახაშვილი, (ნემსის გაკეთება, შეხვევა და სხვა), რომლებიც ამ მხრივ მაძლობას იმსახურებენ. ვისურვებდი მრავლად იყოს ასეთი ადამიანი.

გმადლობთ.  
ესაუბრა  
დალი ტატულიშვილი

# ილია ჭავჭავაძე



სტუმრად მისულ ილიას გამოეგებნენ ოჯახის წევრები: – მობრძანდით, ბატონო ილია, როგორ გიკითხოთ? ძალიან გაგვახარეთ თქვენი სტუმრობით! – მაგრამ ყველაზე ძალიან პატარა გოგონას გაუხარდა ილიას დანახვა, ნეტარი, ცისფერი თვალები სიხარულით უბრწყინავს. ილიასთან თეთრი კაბის ფარფარით მიიბრინა, ხელი გაუწოდა, ღმინით, სხაპასხუპით ტკბილი, წკრიალა ხმით მიესალმა: – გამარჯობათ ილია ბიძია! – და მოიკითხა – როგორ ბრძანდებით? გელოდებოდით! თან ილიას ხელი ჩამოართვა. გოგონას პატარა ხელი ილიას ხელში ჩაიკარგა, ილიას ძალიან გაუხარდა, ესამოვნა პატარა გოგონას დახვედრა, მისალმება, მოკითხვა, ყურადღება, ზრდილობა, თავაზიანობა, სტუმართმოყვარეობა, გულთბილობა, გულახდილობა, სიყვარული, სიხარული, პატივისცემა.

ხელში აიყვანა, შუბლზე ეამბორა, ქერა თმაზე ხელი ნახად გადაუსვა, ღმინით, ტკბილად უპასუხა, მიესალმა: – გამარჯობა! მე კარგად ვარ! – ილიამ პატარა გოგონას ჰკითხა: – შენ როგორ ხარ! კარგად! ილია ბიძია, მე თქვენი ლექსი ვიცი! – რომელი ლექსი იცი, – ჰკითხა ილიამ – „გაზაფხული“, „ტყევი მოისხა ფოთილი“ და გოგონამ ლექსი თქვა მხატვრულად, ბოლომდის, თან დაამატა – კიდევ ვიცი თქვენი ლექსები: „ყვარლის მთებს“ და სხვა ლექსები! – ყოჩაღ! – შეაქო ილიამ და გოგონა გულში ჩაიკურა. ილიას თვალები უბრწყინავს, რადგან პატარა გოგონა ილიას თავისი ლექსებით მოუწყო მოუღიღნელად და აჩუქა პოეზიის დღე.

– რა გქვია? – ჰკითხა ილიამ! – თამარი! – უპასუხა გოგონამ, ილიამ გოგონა დალოცა – ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებას გისურვებ, იმრავლე – გვარავდეს ღმერთო!

– მადლობა! – უპასუხა სიხარულით პატარა გოგონამ.

ერის ბელადი ილია ჭავჭავაძე, წმიდა ილია მართალი და პოეტი აკაკი წერეთელი გაზეთებში: – „ვერის“ და „საქართველოს მოამბე“-ში წერენ მომავალი თაობის სწავლა-განათლებაზე.

– ბავშვები ჩვენი მომავალია და ვამაყობ მათით – ფიქრობს ერის ბელადი ილია ჭავჭავაძე – წმიდა ილია მართალი.

ერის ბელადი ილია ჭავჭავაძე – წმიდა ილია მართალი, აკაკი წერეთელი გამოსახულებით არიან ეროვნულ ქართულ ფულზე.

– მადლობა, – მსოფლიოს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისთვის.

მარი პატარაძე

# „სულ მშია, არ ვიცი რა მჭირს“ – შიმშილის ბრძნობის მართვა



3 „უცნაური“ მიზეზი, რომელიც მადას აძლიერებს – ესენია:

## მარილი

მარილს შეუძლია შიმშილის გრძობის გაძლიერება, რასაც სწრაფი კვების რესტორნები ძალიან კარგად იყენებენ. ადამიანს მარილისა და შაქრის გემო მათზე დამოკიდებულს ხდის. ასე რომ, შეამციროთ მარილის რაოდენობა. რეკომენდებულია, მაგალითად, შიმშილის მართვა, რომელიც უფრო ჯანსაღ მინერალს შეიცავს.

## ჰაერის კონდიციონა

რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, ჰაერის კონდიციონერს შეუძლია შიმშილის გრძობა გამოიწვიოს. ადამიანი გაცილებით მეტ საკვებს მიირთმევს და უფრო მეტად შია იქ, სადაც ჰაერის ტენიანობა ნაკლებია და ცივა. არ გაჩერდეთ დიდხანს ზედმეტად ცივ პირობებში, ხშირად იყავით თბილ გარემოში.

## მედიკამენტები

ზოგიერთი მედიკამენტი კორტიზოლზე მოქმედებს. როდესაც კორტიზოლის რაოდენობა იზრდება, ჩვენ სტრესში ვვარდებით. ანტიდეპრესანტები, ჩასახვის საწინააღმდეგო აბები და მრავალი სხვა პრეპარატი შეიძლება გახდეს „უკონტროლო შიმშილის“ მიზეზი.

## როგორ ვაკონტროლო შიმშილის გრძობა?

აუცილებელია ცხიმის, ბოჭკოვანისა და ზოგიერთი სახეობის კომბინაცია. ჯანსაღი ცხიმის შემცველი საკვები სისხლის შერეობას გვანიჭებს, როგორც უფრედისი. ხოლო შაქარსა და ნახშირწყლებს ორგანიზმი მალე წვაავს, ამიტომაც მათი მირონების შემდეგ მალევე გვშევივს.

სანავარდოს საჯარო სკოლის თანამშრომლები მწუხარებაში თანაგრძნობზე ელიზა ფილიშვილს ძმის ეზარ ფილიშვილის გარდაცვალების გამო.

მაგალითად, კეტოგენური დიეტა, რომელიც ნახშირწყლების შემცირებას გულისხმობს, ემყარება იმ ფაქტს, რომ ცხიმისა და უფრედისის გადამუშავებას ორგანიზმი დაახლოებით 3 საათს ანდომებს, ხოლო ნახშირწყლებისას 30-60 წუთს.

## მათრეატი

ზოგიერთი არომატი შიმშილის გრძობას ამძაფრებს. ციტრუსის ეთერზეთები, ასევე ლავანდას ეთერზეთი, პიტნისა და როზმარინის – ადამიანს მენტილურ და ფიზიკურ სიძლიერეში ეხმარება. მათი ზეგავლენით შიმშილს უკეთ გაუმკლავდებით.

ეთერზეთები შეგიძლიათ ფეხებზე, მუცელსა და თმებზე წაისვათ, ასევე, მისართით ათავსოთ.

## ჰაერის ნივთი

ბევრი კარდენი ვარჯიში საჭირო არ არის. დამლული ვარჯიშები შიმშილის გრძობას გავლენიერებთ.

ისიერები ბუნებაში, შეასრულეთ მსუბუქი ვარჯიშები.

გარდა ამისა, შეგიძლიათ მიიღოთ მცენარეული ნაყენები, რომლებსაც მადის დამთრგუნველი მოქმედება აქვს.

საკვებიდან მადას თრგუნავს: სელის ზეთი, ზორბლის ქაქო, ნიორი.

სელის ზეთი. მადის დასაქვეითებელი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხალხური საშუალებაა. ასევე აუზოგონებს ნაწლავის პერისტალტიკას, ხელს უწყობს ზედმეტი ნონის დაკლებას და კუჭში სიმსუბუქის შერეობას. სელის ზეთს უმატებენ სალათებს და ისე მიირთმევენ.

ხორბლის ქაქო. დაასხით მღელარე წყალს და გააჩერეთ 15 წუთის განმავლობაში, მიიღეთ დღეში რამდენჯერმე. ნიორი. რამდენიმე კბილ ნიორს დაასხით 1 ჭიქა ოთახის ტემპერატურის მქონე წყალს, გააჩერეთ ერთი დღის განმავლობაში. მიიღეთ ნიორის ნაყენი ჭამის წინ.



# „პირველი მარცხალი“

პირველი წვრთნა და ვარჯიში 5 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ სულ სპორტთან არის ნაზიარევი.

კუნთმავარი და ათლეტიკური აღნაგობის ახალგაზრდა საქართველოს არაერთი კომპანიის სასურველი მოდელი გახდა. ბოლო წლებში კი ყველაზე ცნობილმა სამოდელო სააგენტომ „გოლდენ ბრენდმა“ მიიწვია თავისთან სამუშაოდ.

აი, აქედან დაიწყო კიდევ სიმონ იორდანიშვილის, როგორც გამორჩეული მოდელის, ტურნეები საბერძნეთში, პოლონეთში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში. წარმატებები და კონკურსში გამარჯვებები დიპლომებითა და სხვადასხვა პრიზებით აღინიშნა.

ამის შემდეგ მის ოცნებაში ქვემარტად კეთილმოხლო იდეა დაიბადა – „უნდა დავებრუნდე ჩემს მშობლიურ ყვარლის რაიონში და გავხსნა საკუთარი „ფიტნეს“ კლუბი“...



იმხანად ეს გადაწყვეტილება მეტად ამბიციური იყო და მრავალ სიძნელეებს უკავშირდებოდა. უნდა მოეძია ფინანსები, ტრენერები, დარბაზი, ვარჯიშის მსურველები... ყველაფერი თითქოს „ერთი მერცხლის ფიჭვის“ ჩამოგავდა, მაგრამ მონ-

დომებამ, შეუპოვრობამ და სპორტულმა ჟინმა ამ მიზანს ჩინებული ფინალი მისცა. გიხაროდეთ! დღეს ქალაქ ყვარელში, ბურსის ხიდის ზემოთ, ჭაჭაჭაძის ქუჩის 7-ში ფუნქციონირებს სრულყოფილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი, ანუ ეგრეთწოდებული „ფიტნეს“ კლუბი, რომლის ინსტრუქტორი გახლავთ ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის მკვიდრი სიმონ იორდანიშვილი.

ფართო დარბაზის ტრენაჟორებზე ახლა უკვე სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა პროფესიისა და ძალის ადამიანი ვარჯიშობს და იკაუებს სხეულს, იღებს სიცოცხლის ელექსირს. რასაკვირველია, ყველა მათგანი კი სასარგებლო რჩევებსა და ინსტრუქციას იღებს პროფესიონალი, სერტიფიცირებული ინსტრუქტორის სიმონ იორდანიშვილისგან.

ენივეთ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს, გაიკაუთე და გაილაშაზე თქვენი სხეული.

შეგახსენოთ მისამართი? ქ. ყვარელი, ჭაჭაჭაძის 7, პირველი სართული.

ვიტალი მირიანაშვილი

# საქართველოს ჩემპიონატი

18-20 აპრილს, ქ. ხაშურში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში უფროსი წაკატა შორის. 50 კგ. წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა ანრი სურამლიშვილმა, რომელმაც მოიპოვა ბრინჯაოს მედალი.

აღსანიშნავია, რომ ანრი ტრავმირებული ასპარეზობდა ხალიჩაზე. იგი 2019 წლის საქართველოს ჩემპიონია და ირიცხება საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. (მწვრთნელები ბესიკ სამიტაშვილი, ვაჟა ჭუნაშვილი).



## ძიულო

9-11 აპრილს, ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ძიულოში ჭაბუკთა შორის. 55 კგ. წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა გიგია ხარეზაშვილმა და მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. იგი აყვანილია საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. (მწვრთნელი ვანო გიგიაშვილი).

## თავისუფალი ჭიდაობა



რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, სადაც შესანიშნავად იასპარეზა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრმა დავით ჭუნაშვილმა. მან 52 კგ. წონით კატეგორიაში ფინალამდე ყველა მეტოქე დაამარცხა, დათმო მხოლოდ ფინალური შეხვედრა და დაეუფლა ვერცხლის მედალს (მწვრთნელი ბესიკ სამიტაშვილი).

## ხელბურთი

ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრები 2004-2005 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის, სადაც მონაწილეობს აღმოსავლეთ საქართველოს 6 და დასავლეთ საქართველოს 7 გუნდი.

ყვარლის სასპორტო სკოლის ხელბურთულ გოგონათა ნაკრებმა გუნდმა შესანიშნავად ჩაატარა შეხვედრები. დამარცხებულ დაამარცხა თბილისის „მამული“, „პუგასი“, „ქარიშხალი“, „გორის“ და „თელავის“ ნაკრები გუნდები, პირველი ადგილი დაიკავა აღმოსავლეთ ზონაში და გავიდნენ ფინალურ ეტაპზე, სადაც ოქროს მედალებსათვის ბრძოლაში შეხვედრებს ჩაატარებენ დასავლეთის ზონის პირველ სამ ადგილზე გასულ გუნდებთან. სწორედ ამ შეხვედრებში გაიკვეცა ქვეყნის ჩემპიონისა და პრიზორების ვინაობა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი გოგონები ფინალურ ეტაპზე ოთხი ოქროს ქულით შევიდნენ. მწვრთნელები: ზურაბ ხარეზაშვილი, გოჩა ლონიაშვილი.

## ყავის ყოველდღიური ნორმა

5 ფინჯანი დღეში!

აშშ-ის ნაციონალური სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალისტებმა 10-წლიანი მასშტაბური კვლევა ჩატარეს იმის შესახებ, მავნებელია თუ არა ყავა ორგანიზმისთვის. როგორც ჩანს, ამ საკითხს საბოლოოდ დაესვა წერტილი! უამრავი ექსპერიმენტის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ყავის მოყვარულებს ნაკლები შანსი აქვთ ადრეულ ასაკში სიკვდილის. „ყავა შეიცავს უამრავ ბიოლოგიურად აქტიურ შენარეთს, რომლებიც აუცილებელია ჩვენი ორგანიზმისთვის და ქსოვილებისთვის. მთავარი ამ ნივთიერებებშია – ფენოლის მჟავა, კალიუმი და თავად კოფეინია“, – ამბობს კვლევის ავტორი ერიკა ლოტფილი. მეცნიერი ამტკიცებს, რომ ადამიანები, რომლებიც ბევრ ყავას სვამენ, იშვიათად ავადდებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, რაც დღეს ადამიანების სიკვდილის მიზეზი და აღმოჩენილია, რომ ყავაზე უარის თქმა იმაზე უარესია ჯანმრთელობისთვის, ვიდრე მონევა! ადამიანები, რომლებიც დღეში 6-10 ფინჯან ყავას მიირთმევენ, იშვიათად იღუპებიან გულთან დაკავშირებული პრობლემებით, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ უარს ამბობს ამ სასმელზე.

### რამდენი დღის ყავაზეა ოპტიმალური დოზა?


მეცნიერები ამბობენ, რომ ყავის მიღების დღიური ნორმა 4-5 ფინჯანია! აღმოჩნდა, რომ ყავის მოყვარულები არა მხოლოდ გულის დაავადებას იცილებენ თავიდან, არამედ სასუნთქი გზების ინფექციებს, შაქრის დიაბეტს, პნევმონიასა და გრიპსაც. მეტიც, ყავა ამცირებს კიბოს წარმოქმნის რისკსაც და იმის ალბათობასაც, რომ თვითმკვლელობით დაასრულოთ სიცოცხლე. თქვენი ყავის სმის მიდრეკილების ერთადერთი მსხვერპლი ღვიძლია. ამიტომაც, თუკი ძალიან გიყვართ ყავა, მიიღეთ თქვენი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ვიტამინები და მინერალები.

# 18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღე მსოფლიო მასშტაბით აღინიშნა

პანდემიის გამო, ისევე როგორც გასულ წელს, ახლაც ამ თარიღთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებები საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, საქართველოს მუზეუმებში მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობები დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში ჩატარდა.

მუზეუმების საერთაშორისო დღე 1977 წლის 18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (IIF) მიერ დაფუძნდა და ამ თარიღს საერთაშორისო სამუზეუმო საზოგადოება 40 წელზე მეტია აღნიშნავს. მუზეუმების საერთაშორისო საბჭო მუზეუმის პროფესიონალთა უნიკალური ქსელია, სადაც 35,000 - ზე მეტი ინდივიდუალური წევრი, 20 000 მუზეუმი, 172 ადგილობრივი და საერთაშორისო კომიტეტი გაერთიანებული. სწორედ მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმები ყოველწლიურად გვემევენ კრეატიული ღონისძიებებსა და აქტივობებს, რომლებიც უკავშირდება მუზეუმის საერთაშორისო დღის თემას.

2021 წლის მუზეუმების საერთაშორისო დღის თემა იყო – „მუზეუმების მომავალი: აღდგენა და გარდასახვა“.



კვირულის ფარგლებში, ილია ჭაჭაჭაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო ლევან სამხარაულის ნახატების გამოფენა. 18 მაისს კი, მუზეუმის ენციკლოპედია პატარა მოსწავლეები. მათ გიგანტური როლი მოიგეს და მუზეუმში დაცულ ექსპონატებზე ისაუბრეს.



ფარგლებში, 22 მაისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმში, მათ შორის, ილიას მუზეუმში აქცია „ღამე მუზეუმში“ ასევე ციფრულ ფორმატში ჩატარდა.

ია გიგიაშვილი

# თელავის, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში სიჩქარის კონტროლის 6 სექცია ამოქმედდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, თელავის, გურჯაანისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო სიჩქარის კონტროლის სისტემები ამოქმედდა.

სისტემები ექვს ადგილზეა განთავსებული:

- ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 3 კილომეტრიდან (სოფელი სანავარდო) – ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრამდე (სოფელი გავაზის გადასახვევი). ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ.
- ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრიდან (სოფელი გავაზის გადასახვევი) – ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 3 კილომეტრამდე (სოფელი სანავარდო). ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ.
- ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრიდან (სოფელი გავაზის გადასახვევი) – ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 16 კილომეტრამდე (სოფელი ველისციხე). ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ.

საავტომობილო გზის 16 კილომეტრამდე (სოფელი ველისციხე). ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ.

• ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 16 კილომეტრიდან (სოფელი ველისციხე) – ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის 6 კილომეტრამდე (სოფელი გავაზის გადასახვევი). ნებადართული სიჩქარე 80 კმ/სთ.

• თელავი-შაქრის საავტომობილო გზის 0 კილომეტრიდან – თელავი-შაქრის საავტომობილო გზის 2 კილომეტრამდე. ნებადართული სიჩქარე 60 კმ/სთ.

• თელავი-შაქრის საავტომობილო გზის 2 კილომეტრიდან – თელავი-შაქრის საავტომობილო გზის 0 კილომეტრამდე. ნებადართული სიჩქარე 60 კმ/სთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სიჩქარის სექციური კონტროლის სისტემით საქართველოს მასშტაბით 1269 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა კონტროლდება.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად ავებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.	დირექტორი ალექსანდრა გიგიაშვილი მონაწილე ნუგზარ ღონიაშვილი	პასუხისმგებელი მდივანი ია გიგიაშვილი კორესპონდენტი დალი ტატულიშვილი	რედაქციის მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის №2 საკონტაქტო ტელეფონი: 22-01-86
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------